

Cover Letter

Dear Mr. Mgeladze,

Being a member of the world-wide Group HeidelbergCement, our company counts more than 15 years of its presence in Georgia. We are, as always, open for questions from the media as well as all interested stakeholders.

HeidelbergCement Georgia is the biggest Clinker and Cement producer in the Country. Throughout the years, we have been a front runner heavy industry in the field of environment protection and labor safety in Georgia. We are in this position since we not only follow the local ever changing and toughening regulations, but also international standards. To this end, we are continuously investing in improvement of the production process. We have obtained several international certificates for the processes, with which very few heavy industries, if any, can boast in Georgia.

Having said this, of course we are aware that there is always room ahead for improvement. We never consider ourselves as perfect, but we are permanently working on building a sustainable business with special focus on corporate social responsibility, labor safety and environment protection.

Sincerely,

Silvio Thiede  
General Director

1. 2022 წლის აპრილში გარემოს ზედამხედველობის სამსახურის ცხელ ხაზზე შევიდა შეტყობინება, რომ დედოფლისწყაროში, კირქვის კარიერზე მიმდინარე სამუშაოები (ბურღვა აფეთქება) აზიანებდა დედოფლისწყაროს გარეუბანში მცხოვრები ადამიანების სახლებს (იზარებოდა კედლები) და წარმოქმნილი მტვერი აწუხებდა ადგილობრივებს აღნიშნული ინფორმაცია არის თუ არა თქვენთვის ცნობილი და როგორია ამ საკითხზე კომპანიის პოზიცია?

დედოფლისწყაროში მიმდინარეობს რამდენიმე კარიერის დამუშავება სხვადასხვა სუბიექტის მიერ. ჰაიდელბერგცემენტის მოპოვებითი სამუშაოები ჩვენს კარიერზე სრულად შეესაბამება ლიცენზიითა და კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმებს. კარიერი საკმაოდ დაშორებულია უახლოესი საცხოვრებელი პუნქტიდან.

რაც შეეხება დამტვერიანებას, დედოფლისწყაროს კარიერზე ძლიერი დამტვერიანება სავარაუდოდ ხდება მიმდებარე საწარმოდან, რომელიც სხვა იურიდიულ პირს ეკუთვნის და არ არის დაკავშირებული ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიასთან. გაუგებარი მიზეზების გამო ხშირად აღნიშნული დამტვერიანება შეცდომით მიეწერება ჰაიდელბერგცემენტს. იხ. სურათი.

Several different companies have active limestone quarries in Dedoplistskaro. HeidelbergCement extraction works in the quarry fully comply with the norms defined by the license and legislation. The quarry is quite far from the nearest residential area.

As for the dust, heavy dust pollution at the Dedoplistskaro quarry is probably coming from a nearby enterprise, which belongs to another legal entity and is not related to HeidelbergCement Georgia. For reasons that are not clear, this pollution is often mistakenly attributed to Heidelberg cement. see picture.



2. 2022 წლის მაისში კირქვის კარიერის შემოწმებისას აღმოაჩინეს, რომ ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიამ სალიცენზიო ტერიტორიის საზღვრებს გარეთ უკანონოდ მოიპოვა 77501 კუბი მოცულობის წიაღისეული, რითიც დაახლოებით 141 ათასი ლარის ზიანი მიაყენა გარემოს. ზიანის დიდი ოდენობიდან გამომდინარე მასალები გადაეგზავნა სამართალდამცავებს. სამართლებრივად რა ეტაპზეა აღნიშნული საქმე, დადგა თუ არა კომპანიის ან მისი წარმომადგენლების პასუხისმგებლობა და რა სახის, მოხდა თუ არა კომპანიის მხრიდან გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება და რა მოცულობის?

თქვენს მიერ ხსენებულ საქმეზე კომპანიას არ გააჩნია ინფორმაცია. აქვე მოგახსენებთ, რომ კომპანიას არ უწარმოებია მოპოვებითი სამუშაოები სალიცენზიო ტერიტორიის საზღვრებს გარეთ.

The company does not have information on the mentioned case. In addition, please, be informed that HeidelbergCement Georgia has not conducted mining operations outside the license area.

3. კასპში და რუსთავში რესპოდენტები “რადიო თავისუფლებასთან” ამბობენ რომ ჰაიდელბერგის ქარხნების მუშაობა, ნედლეულის მოპოვება და ტრანსპორტირება, წარმოქმნის მტვერს და ხმაურს და აზიანებს მათ ჯანმრთელობას.

გაქვთ თუ არა მტვრის გაფრქვევის და ხმაურის შიდა მონიტორინგი, რა პერიოდულობით ატარებთ გაზომვებს და არის თუ არა საჯაროდ ხელმისაწვდომი შედეგები. (გთხოვთ მიგვითითოთ შესაბამისი ლინკი, ანდა მოგვაწოდოთ გაზომვების შედეგები)

კასპის ცემენტის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე მტვრის მონიტორინგი ხორციელდება გარემოს დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული მონიტორინგის გეგმის მიხედვით თვეში ერთხელ - სამ წერტილში (საწარმო მდებარეობს ინდუსტრიულ ზონაში, მონიტორინგის წერტილები შერჩეულია საცხოვრებელი ზონის გასწვრივ).

კომპანიამ კასპში, განახორციელა გზების რეაბილიტაციის პროექტები, რითიც აღმოიფხვრა გზის ამტვერების პრობლემა ქარხნის მიმდებარე ტერიტორიებზე. ერთ-ერთი ასეთი პროექტი კასპში, ფარნავაზის ქუჩის ქარხანასთან მისასვლელი ცენტრალური გზის სრული რეაბილიტაციაა. ჰაიდელბერგცემენტმა ასევე განახორციელა კასპის ქარხნის ახალი, 300 მეტრიანი შემოვლითი გზის მშენებლობა. ახალი გზის საშუალებით მთავარი გზა კასპის ცემენტის ქარხნის ახალ შესასვლელს უერთდება. ფარნავაზის ქუჩის დასახლებულ ნაწილში, რეაბილიტირებულ გზაზე ჰაიდელბერგცემენტთან დაკავშირებული სატვირთო მანქანები აღარ მოძრაობენ. ამასთან ერთად, დამტვერიანების თავიდან ასაცილებლად მუდმივად ხდება ქარხნის მიმდებარე ქუჩის (ფარნავაზის ქუჩა) და ქარხნის შიდა გზების მორწყვა, ხოლო მშრალ პერიოდებში, ნედლეულის გადაზიდვის მარშრუტზე (სასხორი-კასპის დამაკავშირებელი გზა) ხორციელდება გზის მორწყვითი სამუშაოები.

Dust monitoring in the vicinity of the Kaspi cement plant is carried out once a month - at three locations according to the monitoring plan agreed upon with the Ministry of Environmental Protection (the plant is located in the industrial zone, and the monitoring locations are selected along the residential zone).

The company implemented road rehabilitation projects in Kaspi, thus eliminating the problem of road dusting in the areas surrounding the factory. One such project is the complete rehabilitation of the central access road to the Parnavazi Street plant in Kaspi. HeidelbergCement also implemented the

construction of a new 300-meter bypass of the Kaspi plant. The new road connects the main road to the new entrance of the Kaspi cement plant. In the populated part of Parnavazi Street, on the rehabilitated road, trucks do not move at all anymore. Along with this, the street surrounding the cement plant (Parnavazi Street) and the internal roads of the plant are constantly irrigated, and in dry periods, road irrigation works are carried out on the raw material transportation route (the road connecting Saskhori with Kaspi) to prevent dusting issues.

4. კასპის რაიონში სოფელ ნიაბში მცხოვრებმა გელა ლომიაშვილმა 2020 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული რამდენჯერმე მიმართა გარემოს ზედამხედველობის დეპარტამენტს და კასპის ქარხნიდან წამოსული ხმაურის გაზომვა მოითხოვა. გაზომვის შედეგები სამჯერვე აღემატებოდა საქართველოს მთავრობის მიერ 2017 წელს მიღებული რეგლამენტით დადგენილ (დამის საათებში) 40 დბ-იან ნიშნულს, თუმცა ორ შემთხვევაში დეპარტამენტმა იხელმძღვანელა ჰაიდელბერგის წარდგენილი გზშ-თი და სამართადაარღვევის ოქმი არ შეადგინა. მოაგვარა თუ არა კომპანიამ ხმაურის პრობლემა, ისევე აღემატება თუ არა 40 დბ-იან ნიშნულს და რას იტყვით იურისტების მოსაზრებაზე, რომ დეპარტამენტის ასეთი ქმედება კანონმდებლობის დარღვევაა და ჰაიდელბერგი სუბიექტურად გამონაკლის, სხვა კომპანიებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაშია ჩაყენებული.

კომპანიას სრულად აქვს შესწავლილი ხმაურის წყაროები. დამონტაჟებულია ხმაურის ჩამხშობი ეკრანები. 2017 წლის ხმაურის რეგლამენტით განსაზღვრულ ნორმებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით, კომპანიამ შეცვალა სამუშაო რეჟიმი და მუდმივად მუშაობს დამატებითი ხმაურჩამხშობი ღონისძიებების გატარებაზე.

The company has fully studied its sources of noise. Noise suppression screens are installed. The company has changed its working mode and is constantly implementing additional noise reduction measures in order to comply with the norms defined by the Guidelines of noise regulation 2017.

5. ახდენს თუ არა თქვენი კომპანია გასულ წლებში ღია კარიერული წესით დამუშავებული კარიერების რეკულტივაციას. გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში რა მოცულობის ტერიტორიის ტექნიკური და ბიოლოგიური რეკულტივაცია განახორციელეთ.

რეკულტივაცია საქართველოში შესაძლებელია მხოლოდ საბადოს რესურსების სრულად ამოწურვის შემდეგ, რაც, უმრავლეს შემთხვევაში, არ შეესაბამება ლიცენზიის ამოწურვის ვადას. ლიცენზიის ვადის ამოწურვის შემდეგ, როგორც წესი, საბადოზე კვლავ რჩება რესურსი და მისი რეკულტივაცია არ შეიძლება, რადგან ახალი ლიცენზიის გაცემის შემთხვევაში მოხდება რეკულტივირებული ტერიტორიის სრულად განადგურება.

ქვეყანა, ამ მხრივ, რეკულტივაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობის გარდაქმნის პროცესშია (რაც ასახულია 2019 წლის ეროვნულ სტრატეგიაში [https://nam.gov.ge/files/file\\_6473324.pdf](https://nam.gov.ge/files/file_6473324.pdf) გვ.11).

ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას, შემუშავებული აქვს კარიერების რეკულტივაციის კონცეფცია ყველა მოქმედი კარიერისთვის. კომპანია მზად არის, განახორციელოს რეკულტივაცია რეფორმის დასრულების შემდეგ.

Reclamation in Georgia is possible only after the complete exhaustion of the deposit resources, which, in most cases, does not correspond to the expiration date of the license. After the license expires, as a rule, there is still a resource left in the field and it cannot be recultivated, because if a new license is issued, the recultivated area will be completely destroyed.

In this regard, the country is in the process of transforming the legislation related to reclamation (which is reflected in the 2019 national strategy [https://nam.gov.ge/files/file\\_6473324.pdf](https://nam.gov.ge/files/file_6473324.pdf) p.11).

HeidelbergCement Georgia has developed a quarry reclamation concept for all operating quarries. The company is ready to carry out reclamation after the completion of the reform.

6. “რადიო თავისუფლებამ” შეისწავლა შრომის ინსპექციის ოქმები, საიდანაც ჩანს, რომ 2018-22 წლებში თქვენი კომპანია სისტემატურად არღვევდა შრომით კანონმდებლობას, რუსთავის და კასპის ქარხნებში არსებული დარღვევები (მტვერი, ხმაური, უხარისხო აღჭურვილობა, ნედლეულის ღია საწყობები) პრობლემას უქმნიდა დასაქმებულების და გარშემო მცხოვრები ადამიანების ჯანმრთელობას. ამ მასალებიდან ჩანს, რომ მიზეზული ჯარიმების პირობებში ჰაიდელბერგი დარღვევების ნაწილს სწრაფად და ადეკვატურად არ ასწორებდა, დარღვევების ნაწილი პერიოდულად მეორდებოდა. როგორც ამ საკითხზე კომპანიის პოზიცია, მოხდა თუ არა ყველა ხარვეზის გამოსწორება, გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი მტკიცებულებები.

ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია, როგორც გლობალური გერმანული კომპანიის ჯგუფის წევრი, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შრომის უსაფრთხოებას. კომპანია 2017 წლიდან წარმატებით გადის ყოველწლიურ მკაცრ გარე სერტიფიცირებას შრომის უსაფრთხოების კუთხით (OHSAS-18001, ISO-45001) კერძო და დამოუკიდებელი საერთაშორისო მასერტიფიცირებელი ორგანიზაციების მხრიდან, რაც იმის დასტურია, რომ ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სისტემა ორგანიზაციაში ფუნქციონირებს საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული ვალდებულება კომპანიამ აიღო იმის მიუხედავად, რომ ქვეყანაში იმ დროისთვის არ არსებობდა შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნები.

შრომის ინსპექციის მიერ ჩატარებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები არ ატარებდა კომპლექსურ და სისტემურ ხასიათს. ინსპექტირების შედეგად მიღებული მითითებები კომპანიას სრულად აქვს შესრულებული.

რაც შეეხება გაზომვით სამუშაოებს, კომპანია როგორც საკუთარი ძალებით ასევე, მოწვეული ორგანიზაციების დახმარებით ატარებს რეგულარულ გაზომვებს ისეთ მავნე ფაქტორებზე როგორცაა: ხმაური, დამტვერიანება, ტენიანობა, ვიბრაცია, ტემპერატურა, რადიაცია. გაზომვების შედეგად კი ყველა მომატებულ მაჩვენებელზე ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები.

HeidelbergCement Georgia, as a member of the global German company group, pays special attention to Health and Safety, which is number one priority for us. From 2017, HeidelbergCement Georgia successfully passing health and safety management system annual certification process (ISO-45001), which is proof that the health and safety in the organization is in line with international requirements. The company undertook the mentioned obligation despite the fact that there were no relevant legal requirements in the country at that time.

As it was mentioned Labour safety inspection department had several visits on our sites. The violations detected by the inspectors were not of a complex and systematic nature. All recommendations given by the labor inspection department were closed in time.

As for measurement work, the HeidelbergCement Georgia performing regular measurements on following factors- dust, noise, vibration, humidity, temperature, radiation. In case of any deviation respective corrective or preventive actions are taken immediately.

7. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 ოქტომბრის განკარგულებით, ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიამ ლიცენზიის ვადის გაგრძელების სანაცვლოდ აიღო ვალდებულება ყოველწლიურად დაახლოებით 100 ათასი ტონა ადგილობრივი წარმოების ქვანახშირი შეისყიდოს. გთხოვთ გვაცნობოთ ამ განკარგულების ფარგლებში დღემდე რა მოცულობის ქვანახშირი შეიძინეთ, რა დანიშნულებებით იყნებთ ქვანახშირს და რა პოზიცია გაქვთ სპეციალისტების მოსაზრებაზე, რომ ქართული ქვანახშირი დაბალი ხარისხისაა და წვის დროს მეტ ნაცარს და სხვა მავნე ნივთიერებებს წარმოქმნის.

კომპანია ზედმიწევნით ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას ტყიბულის ნახშირის შესყიდვასთან დაკავშირებით. დამატებით მოგახსენებთ, ჰაიდელბერგცემენტი, კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, მუდმივად ცდილობს წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის ადგილობრივ ბაზარზე შეძენას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და დადებითად მოქმედებს საქართველოს ექსპორტ-იმპორტის ბალანსზე.

ტყიბულის ნახშირს გააჩნია დაბალი კალორიულობა, სწორედ ეს განსაზღვრავს მის „დაბალ ხარისხს“. თუმცა, მოსაზრება იმის თაობაზე, რომ წვის დროს წარმოიქმნება მეტი მავნე ნივთიერებები - არ შეესაბამება სინამდვილეს. რაც შეეხება ნაცარს, ნახშირის ხარისხის მიუხედავად, კლინკერის წარმოების დროს ნარჩენი ნაცარი არ წარმოიქმნება და ის სრულად გადადის წარმოებულ პროდუქტში, საცემენტე კლინკერში.

HeidelbergCement, within the framework of the company's social responsibility, constantly tries to purchase the raw materials needed for production on the local market. This approach contributes to the economic development of the country, the employment of the local population and has a positive effect on the export-import balance of Georgia.

Tkibuli coal has a low caloric content, that is what determines its "low quality". However, the opinion that more harmful substances are produced during combustion is not true. As for ash, regardless of coal quality, residual ash is not generated during clinker production and it is completely transferred to the manufactured product, cement clinker.

8. ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას გარკვეულ წილს აკონტროლებს საპარტნიორო ფონდი და ჰანიველ პარტნერსი, ორივე კომპანია დაკავშირებულია ქართული ოცნების ხელისუფლებასთან. მათი გავლენების გამოყენებით ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას დარღვევებზე, მისი საქმიანობით გამოწვეულ პრობლემებზე სახელმწიფო უწყებები ლოიალურები ხომ არ არიან.

ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია წარმოადგენს HeidelbergCement ჯგუფის კომპანიას, რომელიც გლობალურ ბაზარზე სამშენებლო მასალების წარმოების აღიარებული ლიდერია. 2017 წელს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას გარკვეული წილის მფლობელი გახდა საქართველოს თანაინვესტირების ფონდი (და არა საპარტნიორო ფონდი) და ჰანიველ პარტნერსი. აღნიშნული პარტნიორობის ფარგლებში განხორციელდა უმნიშვნელოვანესი პროექტი - კასპის ცემენტის ქარხნის სრული მოდერნიზაცია: კლინკერის ახალი საწარმოო ხაზის მშენებლობა. პროექტის განხორციელების შედეგად კლინკერის წარმოების ძველი ტექნოლოგია - სველი მეთოდი შეიცვალა ახალი - მშრალი მეთოდით.

პროექტისთვის 100 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია გამოიყო, რაც უზრუნველყოფს წარმოების პროცესის უმაღლეს სტანდარტებს და ეფექტურობას, ხელს უწყობს საქართველოს

კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას სამშენებლო სექტორში და ამავდროულად ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას. აქვე შეგახსენებთ, რომ აღნიშნული პროექტი გამორჩეულია იმით, რომ ის გულისხმობს კლინკერის წარმოებას უახლესი მშრალი ხაზის ტექნოლოგიით რაც, თავის მხრივ, გარემოზე ზემოქმედების შემცირების და **წარმადობის** ზრდის განმაპირობებელია. პროექტის ფარგლებში დამონტაჟებულია უმაღლესი სტანდარტის ფილტრაციის სისტემა და ემისიების მუდმივი მონიტორინგის სპეციალური აპარატურა.

ჩვენი შეფასებით, კომპანიისადმი მიდგომა სახელმწიფო უწყებების მხრიდან სრულიად მიუკერძოებელია.

HeidelbergCement Georgia is a company of the HeidelbergCement group, which is a leader in the production of building materials on the global market. In 2017, Georgian Co-Investment Fund (not Partnership Fund) and Hunnewell Partners, became the owners of a certain share of HeidelbergCement Georgia. Within the framework of this partnership, an utterly important project has been implemented - the complete modernization of the Kaspi cement plant: the construction of a new clinker production line. As result of the project, Clinker production old technology - the wet method, changed to the dry method.

An investment of 100 million USD has been allocated for the project, which ensures the highest standards and efficiency of the production process, helps to improve the competitiveness of Georgia in the construction sector, and at the same time reduces the impact on the environment. We would like to remind here that the mentioned project is distinguished by the fact that it involves the production of clinker with the latest dry line technology, which, in turn, leads to a reduction in environmental impact and an increase in productivity. Within the framework of the project, the highest standard filtration system and special equipment for continuous monitoring of emissions are installed.

In our opinion, the approach to the company by the state agencies is completely impartial.